„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

13 თებერვალი 2025 წ.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს ჩემპიონატი უფროსებში
## II დონე

2025
11-12 თებერვალი
თბილისი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მხოლოდ ის ძიუდოისტები, რომლებმაც იასპარეზეს საქართველოს 2024 წლის ჩემპიონატზე და ვერ დაიკავეს საპრიზო ადგილები. ძიუდოისტები, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ იასპარეზეს საქართველოს ჩემპიონატზე შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- სპორტსმენებს უფლება აქვთ შეიცვალონ წონითი კატეგორია და იასპარეზონ მხოლოდ ზედა წონით კატეგორიაში.

## IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი. დრო და რეგისტრაცია

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვების შემდეგ.
- შეჯიბრება ჩატარდება 2025 წლის 11-12 თებერვალს, თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე - 10 თებერვალი, წასვლის დღე – 13 თებერვალი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

### რეგისტრაცია:

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (http://gjf.ge/geo/calendar/georgia), სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2025 წლის 6 თებერვლამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 9 თებერვალს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

## V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრებაზე გამოვლენილი იქნება მხოლოდ პირველი და მეორე ადგილები. დამამშვიდებელი შეხვედრები არ ჩატარდება.
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში:
  -60კგ; -66კგ; -73კგ; -81კგ; -90კგ; -100კგ; +100კგ;
  11 თებერვალი: -60კგ; -66კგ; -73კგ;
  12 თებერვალი: -81კგ; -90კგ; -100კგ; +100 კგ;

## VI. აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია
10 თებერვალი: -60კგ, -66კგ, -73კგ.
არაოფიციალური 16:00–17:00;
ოფიციალური 17:00–18:00;

11 თებერვალი: -81კგ, -90კგ, -100კგ, +100კგ.
არაოფიციალური 16:00–17:00;
ოფიციალური 17:00–18:00;

## VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995322516466;

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577994407

**P.S.**

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი ფერის კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.

პრეზიდენტი ლევან ნოზაძე